ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 49
31/07/2019

49-08-4-201907311645

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანების ,, დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ " მე-14 მუხლის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოთა ორგანიზებისა და ჩატარების, მათი გურიის რეგიონულ არქივში შენახვისათვის გადასაცემად მომზადების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეიქმნას მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა)ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი (I რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მერაბ ხუნდაძე კომისიის თავმჯდომარე;

ბ)საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ჟანა სიხარულიძე კომისიის მდივანი;

გ) წევრები:

გ.ა) უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში (III რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) თამარ ახალაძე;

გ.ბ) უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში (III რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) მარიტა მგალობლიშვილი.

2.კომისიამ საქმიანი კავშირი დაამყაროს საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ჩოხატაურის ადგილობრივ წარმომადგენელთან და ბრძანების ერთი ეგზემპლარი გადასცეს მას ცნობისთვის.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურიის რაიონული სასამართლოს ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოში (მის: ჩოხატაური, ი. ჭავჭავაძის ქ. N4).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა